ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N29

2022 წლის 27 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N06 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

„შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ (სსმ 22/02/2018 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.131.016228) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N06 დადგენილების I მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს 744 (შვიდასორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**